60. **ველიაშვილი** თინა დავითის ასული — განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებათა მუშაკების პროფკავშირის ბაღდათის რაიკომის თავმჯდომარე.
61. **გიორგაძე** არჩილ დიმიტრის-ძე — პენსიონერი მასწავლებელი.
62. **გეთია** გრიგოლ კირილეს-ძე — ზუგდიდის რაიონის სკოლა-ინტერნატის დირექტორი.
63. **გობეჯიშვილი** რუბენ სიმონის-ძე — თბილისის მასწავლებლის სახლის დირექტორი.
64. **გოგიბერიძე** სემაეთ ჰუსეინის ასული — ქობულეთის რაიონის ქობულეთის საშუალო სკოლის მასწავლებელი.
65. **გოგლიძე** კონსტანტინე ნიკოლოზის-ძე — პარტიის ქალაქ თბილისის ლენინის რაიკომის პირველი მდივანი.
66. **გოგიჩაიშვილი** მიხეილ ალექსანდრეს-ძე — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგე.
67. **გოგორიშვილი** პაპა ივანეს ასული — განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებათა მუშაკების პროფკავშირის ვანის რაიკომის თავმჯდომარე.
68. **გოკასაძე** დავთ სიმონის-ძე — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მეთოდური კაბინეტის გამგე.
69. **გოშხეთელიანი** ივანე სპირიდონის-ძე — ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის დოცენტი.
70. **გრიმოვა** ზოია ვასილის ასული — ქალაქ ბათუმის № 15 საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე.
71. **გუკასიანი** ბაგრატ აბელის-ძე — ახმეტის რაიონის აწყურის საშუალო სკოლის მასწავლებელი.
72. **გუჩმაზოვა** ცირა იოსების ასული — ზნაურის რაიონის ზნაურის საშუალო სკოლის დირექტორი.
73. **გუჩუა** ვიქტორ გესას-ძე — ზუგდიდის რაიონის ზუგდიდის საშუალო სკოლის დირექტორი.
74. **დავითაძე** ლევან მიხეილის ძე — საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის მდივანი.
75. **დავითულიანი** ნინო დავითის ასული — ამბროლაურის რაიონის ჟაკიშის შვიდწლიანი სკოლის დირექტორი.
76. **დანელიანი** ჯიკან მარტიროსის-ძე — გაგრის სახალხო განათლების რაიონული განყოფილების ინსპექტორი.
77. **დვალი** მაყვალა ნიკოლოზის ასული — ლაგოდეხის რაიონის ლაგოდეხის საშუალო სკოლის მასწავლებელი.
78. **დვალი** რაფიელ რაფიელის-ძე — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი.
79. **დეკდარიანი** გიორგი მიხეილის-ძე — ქალაქ თბილისის სამგორის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე.
80. **დემურიევი** თეოფილაქტე სიმონის-ძე — წალკის რაიონის ავანლოს საშუალო სკოლის მასწავლებელი.
81. **ჯაბუა** გიორგი ანდრიას-ძე — ქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარის პირველი მოადგილე.
82. **ჯაველიძე** ვლადიმერ ერმოლოზის-ძე — საქართველოს კომპარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის განყოფილების გამგე.
83. **ჯაფელი** ოთარ ჯასანის-ძე — ქედის რაიონის ცხმორისის საშუალო სკოლის დირექტორი.
84. **ჯაფარიძე** ნეგრესტან რეფიკის ასული — ბათუმის რაიონის გონიოს საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე.
85. **ჯაფარიძე** ალექსანდრე სამსონის-ძე — თერჯოლის რაიონის ზედა საბაწოს საშუალო სკოლის დირექტორი.
86. **ჯაბუა** ნინო ივანეს ასული — ცხაკაიას რაიონის ზეგნის საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე.
87. **ჯიანი** ბაბილინა ანდრიას ასული — სოხუმის რაიონის კელასურის შვ

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სსრ მასწავლებლებისა და სახალხო განათლების მუშაკების სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოების შესახებ

(დახახრული)

172. **მიქელაძე ირინე** დავითის ასული — ქალაქ თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის კაბინეტის გამგე.
173. **მინასიანი** ელზა არკადის ასული — კასპის რაიონის კასპის საშუალო სკოლის მასწავლებელი.
174. **მირუსაშვილი** ციალი ივანეს ასული — ქალაქ თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის განყოფილების გამგე.
175. **მირიანაშვილი** მათე მიხეილის-ძე — თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროორექტორი.
176. **მოდებაძე** ცირა ლევანის ასული — ასპინძის რაიონის ორგორის შვიდწლიანი სკოლის მასწავლებელი.
177. **მოსიაშვილი** ეკატერინე გრიგოლის ასული — დუშეთის რაიონის № 1 საშუალო სკოლის დირექტორი.
178. **მუჯირიშვილი** ვასილ ალექსის-ძე დმანისის რაიონის გომარეთის საშუალო სკოლის დირექტორი.
179. **მუსაევი** ჰამიდ მამედის-ძე — სამგორის რაიონის ქესალოს საშუალო სკოლის დირექტორი.
180. **მუსხელიშვილი** ნიკოლოზ ივანეს-ძე — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი.
181. **მხითარიანი** ნაზარეტ მგერის ასული — ახალციხის რაიონის № 3 საშუალო სკოლის დირექტორი.
182. **მჭედლაშვილი** დავით ვასილის-ძე — გაზეთ „კომუნისტის“ რედაქტორი.
183. **ნადირაძე** ალექსანდრე თეოფილეს-ძე — ვანის რაიონის ვანის საშუალო სკოლის დირექტორი.
184. **ნაკაშიძე** ევსევი ალექსანდრეს-ძე — განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებათა მუშაკების პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის ინსტრუქტორი.
185. **ნარმანია** მირიან ბარნაბის-ძე — ზუგდიდის რაიონის № 3 საშუალო სკოლის დირექტორი.
186. **ნემსაძე** ოთარ მიხეილის-ძე პარტიის ქალაქ თბილისის კალინინის რაიკომის პირველი მდივანი.
187. **ნინუა** თამარ ალექსანდრეს ასული — ქალაქ თბილისის № 12 საშუალო სკოლის მასწავლებელი.
188. **ნიკაბაძე** მარგალიტა სევერიანის ასული — ახალქალაქის რაიონის ახალქალაქის საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე.
189. **ნიშნიანიძე** შალვა პაოლოს-ძე — წყალტუბოს რაიონის მუხიანის საშუალო სკოლის დირექტორი.
190. **ნოდია** კლიმენტი გიორგის-ძე — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მეთოდისტი.
191. **ნოზაძე** აკაკი არჩილის-ძე — ხაშურის რაიონის ალის საშუალო სკოლის დირექტორი.
192. **ნოზაძე** შოთა ვასილის-ძე — ქარელის რაიონის აბისის საშუალო სკოლის დირექტორი.
193. **ნონეშვილი** იოსებ ელიოზის-ძე — მწერალი, ჟურნალ „დილის“ რედაქტორი.
194. **ოგანესიანი** გრაჰ მკრტიჩის-ძე — ოჩამჩირის რაიონის ორაკიჩის საშუალო სკოლის დირექტორი.
195. **ონიანი** სამსონ გიორგის-ძე — ლენტეხის რაიონის ჩიხარეშის საშუალო სკოლის დირექტორი.
196. **პაპავა** ვლადიმერ ვლადიმერის-ძე — ჩხოროწყუს რაიონის ახუთის საშუალო სკოლის მასწავლებელი.
197. **ფარეულიძე** ელენე ვლადიმერის ასული — ახმეტის რაიონის ახმეტის შვიდწლიანი სკოლის მასწავლებელი.
198. **პატარაია** მინა ჩაგუს ასული — გეგეჭკორის რაიონის აბედათის საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე.
199. **ფაჩულია** ენვერ ივანეს-ძე — ოჩამჩირის რაიონის ფოქვეშის საშუალო სკოლის დირექტორი.
200. **ფერაძე** ბიძინა ილიას-ძე — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სამმართველოს უფროსის მოადგილე.
201. **პეტრიაშვილი** ნათელა პლატონის ასული — საქართველოს ალკკ თბილისის საქალაქო კომიტეტის მდივანი.
202. **პეტროსიანი** ლევ სერგის-ძე — ქალაქ თბილისის მშრომელთა დეპუტატების ოქტომბრის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე.
203. **პეტროსიანი** აღინიკ გასპარის-ძე — განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებათა მუშაკების პროფკავშირის გაგრის რაიკომის თავმჯდომარე.
204. **ფიცხელაური** მამუკა გიორგის-ძე — თიანეთის რაიონის ნაქალაქევის საშუალო სკოლის დირექტორი.
205. **ბოღოსიანი** იშხან ტიგრანის-ძე — ბოგდანოვკის რაიონის ბოგდანოვკის საშუალო სკოლის დირექტორი.
206. **ფოჩხუა** არკადი პავლეს-ძე — ქარელის რაიონის მოხისის საშუალო სკოლის დირექტორი.
207. **ფრუიძე** აკაკი მელიტონის-ძე — ამბროლაურის რაიონის ჭრებალოს საშუალო სკოლის დირექტორი.
208. **ბურიჭამიაშვილი** სერგი გიორგის-ძე — გორის რაიონის მეღვრეკისის შვიდწლიანი სკოლის დირექტორი.
209. **ფხაკაძე** დავით სევერიანის-ძე — ზესტაფონის რაიონის ზესტაფონის მუშა ახალგაზრდობის საშუალო სკოლის მასწავლებელი.
210. **ფცქიალაძე** თამარ ანთიმოზის ასული — განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებათა მუშაკების პროფკავშირის ორჯონიკიძის რაიკომის თავმჯდომარე.
211. **რაზმაძე** გიორგი რომანოზის-ძე — სამგორის სახალხო განათლების რაიონული განყოფილების გამგე.
212. **რატიშვილი** ზურაბ ივანეს-ძე — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ინსპექტორი.
213. **რეხვიაშვილი** აკაკი სერგის-ძე — ქალაქ რუსთავის № 1 მუშა ახალგაზრდობის საშუალო სკოლის დირექტორი.
214. **რობაქიძე** გალაქტიონ პლატონის-ძე — განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებათა მუშაკების პროფკავშირის ცხაკაიის რაიკომის თავმჯდომარე.
215. **როდონაია** ვარლამ ძიკუს-ძე — ჩხოროწყუს სახალხო განათლების რაიონული განყოფილების გამგე.
216. **რუხაძე** დარეჯან მიხეილის ასული — ქალაქ თბილისის № 103 საშუალო სკოლის მასწავლებელი.
217. **რუხაძე** მიხეილ ფარნაოზის-ძე — განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებათა მუშაკების პროფკავშირის სამტრედიის რაიკომის თავმჯდომარე.
218. **საბაშვილი** მიხეილ ნიკოლოზის-ძე — საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის, მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი.
219. **სავჩუკი** ელენე კონსტანტინეს ასული — ბოლნისის რაიონის ბოლნისის საშუალო სკოლის მასწავლებელი.
220. **სარალიძე** მიხეილ სერგის-ძე — ზესტაფონის სახალხო განათლების რაიონული განყოფილების გამგე.
221. **სილაევა** ვერა პეტრეს ასული — გაგრის რაიონის ახალი გაგრის დაწყებითი სკოლის მასწავლებელი.
222. **სიმონიანი** რანუშ სამველის ასული — წალკის რაიონის კუშჩის საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე.
223. **სიხარულიძე** ნიკოლოზ ვლადიმერის-ძე — ქარელის სახალხო განათლების რაიონული განყოფილების გამგე.
224. **სოსელია** ლუსიან ფატერის-ძე — გალის სახალხო განათლების რაიონული განყოფილების გამგე.
225. **ტაბუცაძე** ევგენია ანანოს ასული — ხაშურის რაიონის № 3 საშუალო სკოლის მასწავლებელი.
226. **ტარიელაძე** მედეა ჰასანის ასული — საქართველოს კომპარტიის შუახევის რაიკომის მდივანი.
227. **ტარლამაზიანი** ვართ არტაზაზის-ძე — ახალქალაქის რაიონის ბარალეთის საშუალო სკოლის დირექტორი.
228. **თარხანოვა** სოფიო იურის ასული — გაზეთ „უჩიტელსკაია გაზეტას“ საკუთარი კორესპონდენტი.
229. **თევდორაძე** შალვა ვარლამის-ძე — ქალაქ თბილისის მშრომელთა დეპუტატების სტალინის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე.
230. **თენეიშვილი** ნოდარ სოლომონის-ძე — საქართველოს კომპარტიის ბათუმის საქალაქო კომიტეტის მდივანი.
231. **ტყემალაძე** ტერენტი ეფრემის-ძე — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მეთოდისტი.
232. **ტყემალაძე** ელენე ივანეს ასული — საჩხერის რაიონის № 2 საშუალო სკოლის მასწავლებელი.
233. **თოფურია** ვარლამ ტრიფონის-ძე — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი.
234. **ტულუში** ვლადიმერ ყაისარის-ძე — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ინსპექტორი.
235. **ტუღუნი** ვლადიმერ კონსტანტინეს-ძე — ოჩამჩირის რაიონის № 2 საშუალო სკოლის დირექტორი.
236. **თუმასიანი** ხორენ სტეფანეს-ძე — ბოგდანოვკის სახალხო განათლების რაიონული განყოფილების გამგე.
237. **უზლიანი** ერვანდ არისის-ძე — სოხუმის რაიონის საუბნიანის საშუალო სკოლის დირექტორი.
238. **უჩანეიშვილი** ლეონტი დიმიტრის-ძე — ტყვარჩელის სახალხო განათლების რაიონული განყოფილების გამგე.
239. **უშვერიძე** იაკობ მიხეილის-ძე — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს განყოფილების უფროსი.
240. **ფოტოვი** ისაი სოკრატის-ძე — წალკის რაიონის ხრამჰესის საშუალო სკოლის დირექტორი.
241. **ხაფავა** ქსენია გრიგოლის ასული — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ინსპექტორი.
242. **ხარაძე** ევგენი კირილეს-ძე — თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი.
243. **ხარანაული** ეთერ სიმონის ასული — ახალციხის რაიონის დაბა ვალეს № 1 საშუალო სკოლის მასწავლებელი.
244. **ხარაული** გიორგი ილიას-ძე — გორის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის დირექტორი.
245. **ხარებოვი** დიმიტრი ვლადიმერის-ძე — სამხრეთ ოსეთის სახალხო განათლების საოლქო განყოფილების ინსპექტორი.
246. **ხარიბეგაშვილი** აღალო ჩინოს-ძე — გორის რაიონის კარალეთის საშუალო სკოლის დირექტორი.
247. **ხიზანიშვილი** რუსუდან ოსების ასული — ყვარლის რაიონის შილდის საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე.
248. **ხინკლაძე** ისმაილ მამედის-ძე — ბათუმის რაიონის ჩიქუნეთის შვიდწლიანი სკოლის დირექტორი.
249. **ხინთიბიძე** კეთევან მიხეილის ასული — პეტსიონერი მასწავლებელი.
250. **ხონელიძე** სავლე ნესტორის-ძე — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საბჭოთა კონტროლის კომისიის განყოფილების გამგე.
251. **ხუბულავა** კლემენტი ჯამალ-ძე — საქართველოს კომპარტიის გეგეჭკორის რაიკომის პირველი მდივანი.
252. **ხუბულავა** შოთა ალექსის-ძე — ზუგდიდის რაიონის № 1 საშუალო სკოლის დირექტორი.
253. **ცანავა** ვალერიან ხესტორის-ძე — მცხეთის რაიონის მისაქცელის საშუალო სკოლის დირექტორი.
254. **წერეთელი** ალექსი ალექსანდრეს-ძე — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე.
255. **ცერცვაძე** ივანე ნიკოლოზის-ძე — გაზეთ „ნორჩი ლენინელის“ რედაქტორი.
256. **ცოვაძე** გული ჰასანის ასული — საქართველოს კომპარტიის ქობულეთის რაიკომის მდივანი.
257. **ციმაკურიძე** კონდრატე სოკრატის-ძე — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თანამშრომელი.
258. **ცინაძე** ოთარ პლატონის-ძე — ასპინძის რაიონის ასპინძის საშუალო სკოლის დირექტორი.
259. **ცინცაძე** აბესალომ ნუროს-ძე — საქართველოს კომპარტიის ბათუმის რაიკომის მდივანი.
260. **ცქიტიშვილი** კარლო ვარლამის-ძე — სამგორის რაიონის კოჯრის სკოლა-ინტერნატის ყოფილი დირექტორი.
261. **ცქიტაშვილი** ვენერა აგაბოს ასული — მაიაკოვსკის რაიონის დიმის საშუალო სკოლის მასწავლებელი.
262. **ცორმუტიანი** რაგ ოგანეზის-ძე — ახალქალაქის რაიონის აზავრეთის საშუალო სკოლის მასწავლებელი.
263. **წოწონავა** ისიდორე არსენის-ძე — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მეთოდისტი.
264. **წულაია** ნორა ევგენის ასული — ქალაქ ჭიათურის ხალიბაურის საშუალო სკოლის მასწავლებელი.
265. **ცხომარია** შოთა ბეკოს-ძე — ხობის რაიონის პირველი ხორგის საშუალო სკოლის დირექტორი.
266. **ჭანტურია** დავით იოსების-ძე — საქართველოს კომპარტიის მახარაძის რაიკომის ყოფილი მდივანი.
267. **ჭანტურია** ივანე მანუჩარის-ძე — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს განყოფილების უფროსი.
268. **ჭახრაკია** ნიკოლოზ ერმოლოზის-ძე — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე.
269. **ჭედია** ნაპოლეონ ალექსანდრეს-ძე — ოჩამჩირის სახალხო განათლების რაიონული განყოფილების პედაგოგიკის კაბინეტის გამგე.
270. **ჭედია** თინა ალექსანდრეს ასული — ქალაქ სოხუმის № 7 საშუალო სკოლის მასწავლებელი.
271. **ჭეიშვილი** შოთა იუსტინეს-ძე — წალენჯიხის რაიონის წალენჯიხის საშუალო სკოლის მასწავლებელი.
272. **ჭელიძე** სიმონ ხარიტონის-ძე — განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებათა მუშაკების პროფკავშირის სამგორის რაიკომის თავმჯდომარე.
273. **ჭელიძე** ლუკა ალექსანდრეს-ძე — ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის დირექტორი.
274. **ჩიქვილაძე** ოლღა ვიქტორის ასული — განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებათა მუშაკების პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის განყოფილების გამგე.
275. **ჩიქვინიძე** პროკოფი პროკოფის-ძე — მაიაკოვსკის რაიონის მაიაკოვსკის საშუალო სკოლის მასწავლებელი.
276. **ჩიქობავა** არნოლდ სტეფანეს-ძე — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი.
277. **ჩიქოვანი** მარიამ ნიკოლოზის ასული — ზესტაფონის რაიონის № 2 საშუალო სკოლის დირექტორი.
278. **ჩიქოვანი** კალისტრატე ეგოს-ძე — ჩხოროწყუს რაიონის მუხუთის საშუალო სკოლის დირექტორი.
279. **ჭილაია** სერგი ესტატეს-ძე — საქართველოს სსრ მწერალთა კავშირის მდივანი.
280. **ჩიჩინაძე** ვლადიმერ ივანეს-ძე — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს განყოფილების უფროსი.
281. **ჩიხლაძე** ნაზი ერასტის ასული — შუახევის რაიონის ჭვანის საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე.
282. **ჩიხლაძე** მიხეილ თეოფანეს-ძე — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული პროფესიულ-ტექნიკური განათლების მთავარი სამმართველოს უფროსი.
283. **ჩიჩბა** ანდრია ჩათოს-ძე — გუდაუთის რაიონის კალდახვარის საშუალო სკოლის დირექტორი.
284. **ჭიჭინაძე** ნინო იოსების ასული — დუშეთის რაიონის ფასანაურის საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე.
285. **ჭყონია** გრიგოლ მელქისედეკის-ძე — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს განყოფილების უფროსის ყოფილი მოადგილე.
286. **ჩქოტუა** შალვა ვიქტორის-ძე — გალის რაიონის № 1 საშუალო სკოლის დირექტორი.
287. **ჭკუასელი** ნოდარ ევგენის-ძე — ჩონატაურის რაიონის საჭამიასერის საშუალო სკოლის დირექტორი.
288. **ჩორნაია** ელენე ივანეს ასული — ახალქალაქის რაიონის № 3 ხაშუალო სკოლის მასწავლებელი.
289. **ჭოხონელიძე** რომან ანთიმოზის-ძე — ქალაქ თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის პედაგოგი.
290. **ჭოხონელიძე** შალვა ხამსონის-ძე — ცაგერის რაიონის საირმის შვიდწლიანი სკოლის დირექტორი.
291. **ჩუკბარი** გრიგოლ ივანეს-ძე — აფხაზეთის ასსრ განათლების მინისტრი.
292. **ჩხაიძე** გიორგი ისაკის-ძე — ლანჩხუთის რაიონის ლანჩხუთის საშუალო სკოლის დირექტორი.
293. **ჩხიკვაშვილი** ირაკლი იოსების-ძე — გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ რედაქტორი.
294. **შავგულიძე** ვახტანგ ბესარიონის-ძე — ყვარლის რაიონის № 2 საშუალო სკოლის დირექტორი.
295. **შაქარაშვილი** გიორგი კონსტანტინეს-ძე — კასპის სახალხო განათლების რაიონული განყოფილების ინსპექტორი.
296. **შანიძე** ვარლამ ბესარიონის-ძე — ქალაქ თბილისის სახალხო განათლების სტალინის რაიონული განყოფილების გამგე.
297. **შანიძე** აკაკი გაბრიელის-ძე — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი.
298. **შარვაშიძე** თამარ ამბაკოს ასული — ქალაქ თბილისის № 61 საშუალო სკოლის მასწავლებელი.
299. **შვანგირაძე** ალექსანდრე თადეოზის-ძე — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სახელმწიფო კომიტეტის ინსპექტორი.
300. **შევარდნაძე** ედუარდ ამბროსის-ძე — საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი.
301. **შეროზია** ამირან დიანოზის-ძე — საქართველოს კომპარტიის ზუგდიდის რაიკომის განყოფილების გამგე.
302. **ერაძე** გრიგოლ თეოფილეს-ძე — ბოლნისის სახალხო განათლების რაიონული განყოფილების გამგე.
303. **იანკოვსკი** ალექსი ივანეს-ძე — ოჩამჩირის რაიონის მოქვის საშუალო სკოლის მასწავლებელი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის
თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის
მდივანი მ. გიორგაძე

მოსკოვი, კრემლი, 1960 წ. 29 აგვისტო.

საყვარელო მასწავლებელო, იცით როგორ მიხარია?! ალბათ ასევე ყველას უხარია თქვენი დაჯილდოება.

— აი ჩვენი თინათინის მასწავლებელი უკვე ორდენოსანია! — ეუბნებიან ჩემი დედა და მამა ყველას ეზოში, ამაყობენ. ვინ იცის რამდენის დედა და მამა ამაყობს დღეს თქვენი ბედნიერებით. ჩემგან ეს მცირედი საჩუქარი მიიღეთ, საყვარელო ალმზრდელო და მშობლიურით უტკბესო მასწავლებელო: ალალი გულით მოძღვნილი ყვავილების თაიგული!

ფოტოტიუდი ი. ტორისა.

დიდი შრომითი წარმატება

საქართველოს კპ შუახევის რაიკომის მდივანს
ამხანაგ ს. ბ. მაკაარიძეს

შუახევის რაიალმასკომის თავმჯდომარეს
ამხანაგ ს. ო. ბერიძეს

საქართველოს ალკკ შუახევის რაიკომის
მდივანს ამხანაგ ზ. ი. ქარციკაძეს

შუახევის რაიონის ყველა მშრომელს

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ილოცავენ დიდ შრომითს წარმატებებს სახელმწიფოსათვის ხორცის მიყიდვის წლიური გეგმის 104,4 პროცენტით, რძისა — 101,2 პროცენტით, კვერცხისა — 100,7 პროცენტით, კურკოვანი ხილისა — 170 პროცენტით შესრულებაში.

სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების გადიდებაში მიღწეული წარმატებანი მოპოვებულია კოლმეურნეთა თავდადებული შრომის, პარტიული, საბჭოთა, კომკავშირული ორგანოების, სოფლის მეურნეობის ყველა მუშაკის ორგანიზატორული მუშაობის, კოლმეურნეობათა შემდგომი ეკონომიური განმტკიცების შედეგად.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო სრულ რწმენას გამოთქვამენ, რომ სახოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარების, სახელმწიფოსათვის ხორცის, რძის, კვერცხის და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების მიყიდვის, აგრეთვე მათი თვითღირებულების შემცირების 1960 წლის ვალდებულებანი, რომლებიც თქვენ იკისრეთ, წარმატებით იქნება შესრულებული.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი — **საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო**

საქართველოს კპ თბილისის ორგანიზაციის სამგორის რაიკომის მდივანს
ამხანაგ ი. ვ. ბერძენს

სამგორის რაიალმასკომის თავმჯდომარეს
ამხანაგ ბ. მ. დევდარიანს

საქართველოს ალკკ თბილისის ორგანიზაციის სამგორის რაიკომის მდივანს
ამხანაგ ი. ა. პაიჭაძეს

სამგორის რაიონის ყველა მშრომელს

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ილოცავენ დიდ შრომითს წარმატებებს სახელმწიფოსათვის ხორცის მიყიდვის წლიური გეგმის 105 პროცენტით შესრულებაში.

სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების გადიდებაში მიღწეული წარმატებანი მოპოვებულია კოლმეურნეთა თავდადებული შრომის, პარტიული, საბჭოთა, კომკავშირული ორგანოების, სოფლის მეურნეობის ყველა მუშაკის ორგანიზატორული მუშაობის, კოლმეურნეობათა შემდგომი ორგანიზაციული და ეკონომიური განმტკიცების შედეგად.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო სრულ რწმენას გამოთქვამენ, რომ სახელმწიფოსათვის ხორცის, რძის, ბოსტნეულისა და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების მიყიდვის, აგრეთვე მათი თვითღირებულების შემცირების 1960 წლის სოციალისტური ვალდებულებანი, რომლებიც თქვენ იკისრეთ, წარმატებით იქნება შესრულებული.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი — **საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო**

ა. ი. მიქოიანმა მიიღო

იაპონელი პოლიტიკური მოღვაწე სუძუკი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ა. ი. მიქოიანმა 27 აგვისტოს მიიღო სსრ კავშირში მყოფი ცნობილი იაპონელი პოლიტიკური მოღვაწე, იაპონიის სოციალისტური პარტიის ერთ-ერთი ლიდერი მოსაბერო სუძუკი, აგრეთვე მისი ვაჟი პროფესორი ტ. სუძუკი, იაპონიის სოციალისტური პარტიის თვალსაჩინო მოღვაწეები ს. ოკადა და იაპონიის პარლამენტის დეპუტატი ს. ხოძუმი.

გაიმართა საუბარი, რომლის დროსაც მოხდა აზრთა მეგობრული გაზიარება საერთაშორისო მდგომარეობისა და მშვიდობისათვის მებრძოლის სხვადასხვა საკითხზე, აგრეთვე საბჭოთა კავშირ-იაპონიის ურთიერთობის საკითხებზე.

ა. ი. მიქოიანმა და მ. სუძუკიმ გამოთქვეს რწმენა, რომ ამჟამად ყველაზე დიდმნიშვნელოვანი ამოცანაა ხალხთა ლონისძიებების გაერთიანება ომისათვის საბრძოლველად, რომ თავიდან აცილებულ იქნეს ომი და გაიმარჯვოს მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპებმა ყველა სახელმწიფოს ურთიერთობაში, მიუხედავად მათი სოციალური წყობილებისა. ამასთან დაკავშირებით მ. სუძუკიმ აღნიშნა, რომ იაპონელი ხალხი აქტიურ ბრძოლას ეწევა ამერიკის შეერთებულ შტატებთან სამხედრო კავშირის პოლიტიკის წინააღმდეგ, რომელსაც იაპონის მმართველი წრეები ახორციელებენ, აქტიურ ბრძოლას ეწევა ამერიკის ბაზების ლიკვიდაციისათვის, ომისათვის, რომ იაპონიამ განახორციელოს დამოუკიდებელი სამშვიდობო საგარეო პოლიტიკა, ნეიტრალიტეტის პოლიტიკა. იაპონელ ხალხს, თქვა მ. სუძუკიმ, სურს მშვიდობითა და მეგობრობით იცხოვროს ყველა ქვეყანასთან, მათ შორის თავის დიდ მეზობლებთან — საბჭოთა კავშირთან და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან.

ა. ი. მიქოიანმა განაცხადა, რომ საბჭოთა ხალხი დიდად აფასებს იმ წვლილს მშვიდობის საქმეში, რომელიც იაპონელ ხალხს შეაქვს. საბჭოთა ადამიანები, თქვა მან, მიესალმებიან იაპონიის მუშათა კლასის, ინტელიგენციის, მთელი პროგრესული ძალების მამაცურ ბრძოლას ამერიკა-იაპონიის სამხედრო ხელშეკრულების წინააღმდეგ, თავიანთი ქვეყნის დამოუკიდებლობისათვის, ხალხთა შორის მეგობრობისათვის. მაგრამ, აღნიშნა ა. ი. მიქოიანმა, არ შეიძლება არ დავინახოთ, რომ იაპონიაში არიან გავლენიანი წრეები, რომლებმაც იაპონელი ხალხის ნების წინააღმდეგ სამხედრო შეთანხმება მოახდინეს ამერიკის შეერთებული შტატების მმართველ წრეებთან, დაუთმეს იაპონიის ტერიტორია უცხოელთა სამხედრო ბაზებისათვის, რასაც შეიძლება მოჰყვეს იაპონიისათვის ხიროსიმის ტრაგედიაზე განუზომლად უფრო მძიმე შედეგები.

ამერიკის შეერთებულ შტატებთან სამხედრო ხელშეკრულების წინააღმდეგ დამოუკიდებლობისა და ნეიტრალიტეტისათვის სახალხო ბრძოლაში სხვა პროგრესულ ორგანიზაციებთან ერთად თვალსაჩინო როლს ასრულებს იაპონიის სოციალისტური პარტია, რომელსაც ესმის, თუ რა საფრთხეს წარმოადგენს ამერიკა-იაპონიის სამხედრო კავშირი მშვიდობის საქმისა და თვით იაპონიისათვის. საბჭოთა ხალხი გულწრფელად უსურვებს იაპონელ ხალხს უცხოთაზე დამოკიდებულებისაგან განთავისუფლებას, რათა იაპონიამ შეძლოს დაადგეს თავის მეზობლებთან, ისევე როგორც სხვა ქვეყნებთან, მშვიდობისა და მეგობრობის პოლიტიკას.

საუბრის მსვლელობაში ა. ი. მიქოიანმა და მ. სუძუკიმ აღნიშნეს, რომ საჭიროა ფართოდ განვითარდეს სსრ კავშირსა და იაპონიას შორის კეთილმეზობლური ურთიერთობა, და მათ შორის სავაჭრო და კულტურული ურთიერთობა, აგრეთვე საჭიროა მალე მოწესრიგდეს მათ შორის ჯერ კიდევ გადაუჭრელი საკითხები ურთიერთგაგებისა და ორივე მხარის ინტერესთა პატივისცემის სულისკვეთებით.

საუბარს დაესწრო სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს კოლეგიის წევრი ი. ი. ტუგარინოვი.

ჩვენი სტუმრები

კამერუნელი თვალსაჩინო სპეციალისტი

30 აგვისტოს მოსკოვიდან თბილისში ჩამოვიდა მუდმივი მდივანი აზიისა და აფრიკის ქვეყნების სოლიდარობის მეოთხე სამდივნოში, კამერუნის წარმომადგენელი ოსენდე აფანა, რომელიც აფრიკის განვითარების ეკონომიურ საკითხთა თვალსაჩინო სპეციალისტია.

ოსენდე აფანა ჩვენს ქვეყანაში სტუმრად არის საბჭოთა კავშირის აზია-აფრიკის ქვეყნების სოლიდარობის კომიტეტის მოწვევით. თბილისში ჩამოსვლის დღეს იგი ეცნობოდა ქალაქს. საღამოს ოსენდე აფანა შეხვდა საქართველოს მშვიდობის დაცვის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარეს ა. ხორავას. გაიმართა საუბარი, რომლის დროს კამერუნელი სტუმარი დაინტერესდა ქართველი ხალხის ცხოვრების სხვადასხვა მხარით. (საქდესი).

ტუნისელი მშვიდობისათვის მებრძოლნი

მეოთხე დღეა საქართველოში იმყოფება ტუნისის მშვიდობის მომხრეთა დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს „თავისუფლებისა და მშვიდობისათვის ბრძოლის კომიტეტის“ თავმჯდომარე ბენ სლიმანი.

უცხოელი სტუმრები ეწვივნენ ვ. ი. ლენინის სახელობის თბილისის ელმავალსაშენებელ ქარხანას, იყვნენ საქართველოს სახელმწიფო სურათების გალერეაში, დაათვალიერეს რესპუბლიკის დედაქალაქის ღირსშესანიშნაობანი. ისინი იყვნენ მცხეთაში. დელეგაციის წევრები ესაუბრნენ თვალსაჩინო ქართველ მწერლებსა და მხატვრებს. საქართველოს მშვიდობის დაცვის რესპუბლიკურ კომიტეტში გაიმართა დელეგაციის შეხვედრა ქალაქის სახოგადოებრიობის წარმომადგენლებთან.

ტუნისელი სტუმრები იყვნენ აჭარის ასს რესპუბლიკაში. თბილისში რომ დაბრუნდნენ, ისინი განაგრძობდნენ ქალაქის ცხოვრების გაცნობას. (საქდესი).

მე-8 გვერდი, ოთხშაბათი,
31 აგვისტო, 1960 წ.

ახალი სასწავლო წლის შესახვედრად

30 აგვისტოს დამთავრდა საქართველოს დედაქალაქის მასწავლებლების, სკოლისა და განათლების ორგანოთა მუშაკების აგვისტოს თათბირი.

სკოლის გარდაქმნის შესახებ კანონის განხორციელების ახალ პირობებში მუშაობის პირველი წლის შედეგებსა და ომამავალ სასწავლო წელს მასწავლებლებმა ამოცანებს მიეძღვნა თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის სახალხო განათლების განყოფილების გამგის ო. ეგანის გამოსვლა.

მოხსენებასა და კამათის მონაწილეთა ინტერვენციაში აღინიშნა, რომ გასულ სასწავლო წელს საწარმოო სწავლებაზე გადაყვანილ იქნა 22 სკოლის მეცხრე კლასების 664 მოსწავლე, 570-ზე მეტი მეფეხსაცმელე, ზეინკალი, ხარატი, მკერავი, მჭსოველი და სხვა სპეციალისტი მოამზადეს საწარმოო სწავლების სკოლებმა. ბევრმა მათგანმა მიიღო ხაკვალიფიკაციო თანრიგები. ახალ სასწავლო წელს საწარმოო სწავლებაზე გადაყვანილ იქნება კიდევ 99 მეცხრე კლასის 2432 მოსწავლე. უკვე არსებულ ორ სკოლა-ინტერნატს შეემატება სამი ახალი სკოლა-ინტერნატი, რომელიც სტუმარმოყვარულად გაუღებს კარებს 1500 ბავშვს.

თათბირის მონაწილეებმა მოისმინეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის ბ. ჯიბლაძის მოხსენება „თანამედროვე საბჭოთა პედაგოგიკის ზოგიერთი საკითხი“.

29 და 30 აგვისტოს მასწავლებლები ცალკეულად დაიკენენ და ერთმანეთს გაუზიარეს მუშაობის გამოცდილება, განიხილეს სწავლების მეთოდიკის, საწარმოო სწავლების პრაქტიკის, მუშაობის ორგანიზაციის საჭირბოროტო საკითხები, გაეცნენ სასწავლო გეგმებსა და პროგრამებს. (საქდესი).

საქართველო კომპოზიტორი კანადაში

შუა აგვისტოს კანადაში გაიმართა კომპოზიტორთა და მუსიკალური ხელოვნების თეორეტიკოსთა მსოფლიო კონფერენცია. კონფერენციაში მონაწილეობდნენ ცრამეტი ქვეყნის წარმომადგენლები. საბჭოთა კავშირიდან კონფერენციაში მონაწილეობა მიიღეს ქართველმა კომპოზიტორმა ო. თაქთაქიშვილმა და მოსკოველმა მუსიკათმცოდნემ ვ. კუხარსკმ.

კონფერენციაზე შესრულებულ იქნა ოთარ თაქთაქიშვილის სიმფონიური პოემა „მწირი“, რომელიც მეტად პოპულარული გახდა ჩვენს ქვეყანაში. დირიჟორობდა თვითონ ავტორი, პოემა შეასრულა კანადის რადიოს შესანიშნავმა სიმფონიურმა ორკესტრმა. კონცერტზე დამსწრე მუსიკის მრავალმა სპეციალისტ

საერთაშორისო
დეკენები, ცნობები, მიმოხილვა
ცხოვრება

პიროსის გამარჯვება

ნიუ-იორკი, 29 აგვისტო. (საკდესი). მთავრდება სან-ხოსეს თათბირი. სახელმწიფო მდივანმა ჰერტერმა გამოიყენა ზეგავლენის მთელი საშუალებანი, ლათინური ამერიკის პატარა ქვეყნების ეკონომიური დამოკიდებულება ამერიკის შეერთებულ შტატებზე და ხანგრძლივი მანევრების მუქარისა და დაჯერების შემდეგ ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციის წევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირს სან-ხოსეში (კოსტა-რიკა) თავს მოახვია „დეკლარაცია“, რომელიც წარმოადგენს ცდას ლეგალური გახადოს ლათინური ამერიკის ქვეყნების საქმეებში ამერიკის შეერთებული შტატების უადრესად უხეში ჩარევა.

„დეკლარაცია“ ცდილობს ლათინური ამერიკის ქვეყნებს აუკრძალოს მათი სუვერენული ურთიერთობის განხორციელება ქვეყნებთან, რომელთა პოლიტიკას ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტი არ იწონებს.

ჰერტერის ჩაგონებით „დეკლარაციაში“ შეტანილია გამოხდომა სსრ კავშირთან და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან მეგობრული ურთიერთობის წინააღმდეგ, რამდენადაც ამ ურთიერთობას თითქოს „შეუძლია საფრთხე შეუქმნას ნახევარსფეროს მშვიდობასა და უშიშროებას“.

ცდილობენ რა აკრძალონ ასეთი ურთიერთობა, „დეკლარაციის“ ავტორები ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტიდან ამავე დროს ფარისევლურად ამტკიცებენ, რომ ისინი „აღასტურებენ ამერიკის სხვა სახელმწიფოთა საშინაო და საგარეო საქმეებში ამერიკის სახელმწიფოთა ჩაურევლობის პრინციპს“.

ამავე დროს ამ „დეკლარაციაში“ ამერიკის შეერთებული შტატები მოითხოვენ, რომ ლათინური ამერიკის რესპუბლიკები დაემორჩილონ „საამერიკათაშორისო სისტემის დისციპლინას“, ე. ი. პენტაგონისა და სახელმწიფო დეპარტამენტის ბატონობას.

„დეკლარაცია“, რომელიც ჰერტერმა სან-ხოსეში თავს მოახვია და მიღებულ იქნა ამერიკის შეერთებულ შტატებზე დამოკიდებულ მთავრობათა მიერ ხალხთა ნების საწინააღმდეგოდ, ასახავს ამერიკელ კოლონიზატორთა შიშს ეროვნული დამოუკიდებლობისათვის, ამერიკის შეერთებული შტატების დიქტატისაგან განთავისუფლებისათვის, მათი მძარცველური მონოპოლიების ბატონობისაგან განთავისუფლების მოძრაობის წინაშე, რომელიც ძლიერდება ლათინურ ამერიკაში.

საგულისხმოა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციამ, რომელსაც ჰერტერი მეთაურობს, ვერ მიაღწია იმას, რომ დეკლარაციაში პირდაპირ ყოფილიყო მოხსენებული კუბის რესპუბლიკა. გარდა ამისა, მიუხედავად ჰერტერის ყოველი ცდისა, თათბირის მონაწილეებმა უარყვეს მისი პრეტენზიები, რომლებიც მიმართული იყო კუბის პირდაპირი დაგმობისათვის.

როგორც პრესა ლატინას სააგენტო იუწყება, კუბის საგარეო საქმეთა მინისტრმა რაულ რომ ამხილა ჰერტერის დიქტატორული როლი დეკლარაციის რედაქტირების დროს. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ ამერიკის მთავრობა თავის წარმომადგენელთა მეშვეობით ზეგავლენას ახდენდა საგარეო საქმეთა მინისტრებზე. ამერიკის შეერთებული შტატები, განაცხადა როაუ, აშკარად ემუქრებოდნენ კუბას. კერძოდ, ვიცე-პრეზიდენტი ნიქსონი თათბირის დროს მუქარით დაესხა თავს კუბის რევოლუციურ მთავრობას და მოუწოდა ახსოვდეთ, რომ შეერთებულ შტატებს „ძალა აქვთ“.

კუბის დელეგაციამ, ამხილა რა ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალისტური პოლიტიკა, თათბირი დატოვა. კუბის დელეგატები სხდომათა დარბაზიდან წასვლისას ამაყად აცხადებდნენ ლოზუნგებს: „სამშობლო ან სიკვდილი!“, „კუბა — ჰო!, იანკი — არა!“, „ძირს იმპერიალიზმი!“.

ჰერტერისეულ დეკლარაციას ხელი არ მოაწერა აგრეთვე ვენესუელის საგარეო საქმეთა მინისტრმა არკაიამ.

კუბელმა ხალხმა ზიზღით უარყო მის სუვერენულ უფლებათა ხელყოფა. კუბის რადიომ განაცხადა, რომ კუბის ხალხი და მთავრობა „უარყოფენ მანევრს კოსტა-რიკაში“.

თათბირის მონაწილეებს არ ესმით, რომ დეკლარაციის მიღება პიროსის გამარჯვებაა. „დადგება დღე, როცა ხალხი, რომელსაც მობეზრდება ასეთი მლიქნელობა, აღდგება რიო-გრანდიდან პატაგონიამდე“ — ნათქვამია გადაცემაში.

სან-ხოსეს თათბირი დამთავრდა კუბის მორალური გამარჯვებით, რომელმაც ცხადყო ამერიკის შეერთებული შტატების მონოპოლიებისა და სახელმწიფო დეპარტამენტისა და პენტაგონში მათი მსახურების იმპერიალისტური პოლიტიკის მთელი ამორალობა.

ტელეგრაფი გვაცყობინებს

ლაოსის ახალი მთავრობის შექმნის გამო

ნიუ-იორკი, 30 აგვისტო. (საკდესი). როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი ლუან-პრაბანდიდან იუწყება, გუშინ ლაოსის მეფემ დაამტკიცა პრინცი სუვანა ფუმა პრემიერ-მინისტრად.

ლუან-პრაბანის თანამდებობრივმა პირებმა განაცხადეს, რომ სუვანა ფუმა ალბათ 30 აგვისტოს ახალ კაბინეტს წარუდგენს ეროვნულ კრებას.

წყალდიდობა ინდოეთში

წყალდიდობის შედეგად, რაც ძლიერმა წვიმებმა გამოიწვიეს, პენჯაბის შტატის ზოგიერთ რაიონში, წინასწარი ცნობებით, დაიღუპა 20-ზე მეტი კაცი. მარტო პატიალის ოლქში წყალდიდობით მიყენებული ზარალი აღემატება 43 მილიონ რუპიას. წყალდიდობით ოლქში დაზარალდა 1.089 სოფელი, რომლებშიც ცხოვრობს 636 ათასი კაცი. განგრეულია 17 ათასზე მეტი სახლი.

უკმაყოფილება ირანის მეჯლისის არჩევნების შედეგებით

თეირანი, 29 აგვისტო. (საკდესი). როგორც პრესის ცნობებიდან ჩანს, არჩევნების მსვლელობაში ჩადენილმა გაყალბებამ და „მელიფნის“ მმართველი პარტიის და მისი ლიდერის პრემიერ-მინისტრ ეგბალის მხრივ ზეგავლენამ წარმოშვეს ხმები ეგბალის მთავრობის დათხოვნისა და მეჯლისის არჩევნების შედეგების გაუქმების შესახებ. ახალი არჩევნების მოწყობა, აღნიშნავს პრესა, შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როცა ხელისუფლების სათავეში იქნება დროებითი „ნეიტრალური“ მთავრობა.

როგორც ხაზგასმულია „ისტიკლალის“ ბურჟუაზიული პარტიის განცხადებაში, ეგბალმა და მისმა მომხრეებმა ვერ გამოიტანეს შესაბამისი გაკვეთილები კორეის, თურქეთის, იაპონიისა და სხვა ქვეყნების უკანასკნელი ამბებიდან.

კარის მინისტრი ჰოსეინ ალაც კი, რომელიც გამოვიდა ამერიკის შეერთებული შტატების თეირანის საელჩოში გამართულ დარბაზობაზე, იძულებული იყო ეღიარებინა, რომ „მთავრობის პარტიამ გამოიყენა თავისი გავლენა არჩევნების მსვლელობაში“.

გუშინ მეჯლისის დეპუტატობის „დამოუკიდებელ“ კანდიდატთა ჯგუფმა თეირანის პროკურორს გადასცა საჩივარი, რომელშიც მთავრობას ბრალდ ედება „მაქინაციების ჩადენა არჩევნების დროს პროვინციებსა და თეირანში“.

გაზეთი „დადი“ ეხება ამ საკითხს და ხაზგასმით აღნიშნავს, რომ „მთელი ირანის საზოგადოებრივი აზრი მოითხოვს არჩევნების შედეგების გაუქმებას“.

თეირანის გაზეთების გამომცემელთა და რედაქტორთა გუშინ გამართულ სხდომაზე, აღნიშნავს „დადი“, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება მოუწოდონ ხალხს, რომ განაცხადოს თავისი უკმაყოფილება არჩევნების გამო.

ბათუმი. მზის ჩასვლა.

ფოტო ო. არობელიძისა.

გადადგა ირანის მთავრობა

პარიზი, 29 აგვისტო. (საკდესი). ფრანს პრესის სააგენტოს კორესპონდენტი თეირანიდან იუწყება:

აქ ოფიციალურად გამოაცხადეს, რომ ირანის შაჰმა დღეს მიიღო მთავრობის გადადგომა, რომელსაც პრემიერ-მინისტრი მანუჩეჰრ ეგბალი მეთაურობს.

ვარაუდობენ, რომ ახალი მთავრობის შედგენა დაევალება მრეწველობისა და მაღაროების მინისტრს შარიფ იმამის.

ლონდონი. 29 აგვისტო. (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტი თეირანიდან იუწყება, იქ ოფიციალურად გამოაცხადეს, რომ შაჰმა დანიშნა შარიფ იმამი ირანის ახალ პრემიერ-მინისტრად.

პარიზი, 29 აგვისტო. (საკდესი). ფრანს პრესის სააგენტოს კორესპონდენტი თეირანიდან იუწყება:

ოფიციალურად ამბობენ, რომ ირანის შაჰმა ეგბალი მეჯლისის დეპუტატობის „დამოუკიდებელ“ კანდიდატთა ჯგუფმა თეირანის პროკურორს გადასცა საჩივარი, რომელშიც მთავრობას ბრალდ ედება „მაქინაციების ჩადენა არჩევნების დროს პროვინციებსა და თეირანში“.

გაზეთი „დადი“ ეხება ამ საკითხს და ხაზგასმით აღნიშნავს, რომ „მთელი ირანის საზოგადოებრივი აზრი მოითხოვს არჩევნების შედეგების გაუქმებას“.

თეირანის გაზეთების გამომცემელთა და რედაქტორთა გუშინ გამართულ სხდომაზე, აღნიშნავს „დადი“, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება მოუწოდონ ხალხს, რომ განაცხადოს თავისი უკმაყოფილება არჩევნების გამო.

ნიუ-იორკი, 29 აგვისტო. (საკდესი). როგორც იუნაიტედ პრეს ინტერნეიშნლის საგენტოს კორესპონდენტი თეირანიდან იუწყება, თეირანის ინფორმირებულ წრეებში გუშინ განაცხადეს, რომ ირანის პრემიერ-მინისტრმა ეგბალმა გადაწყვიტა გადადგეს, ეს გადაწყვეტილება მიღებული იყო ეგბალზე გალაშქრების შედეგად იმის გამო, რომ მან დაუშვა დაოლეკეები მეჯლისის არჩევნების მსვლელობაში.

პარიზი, 29 აგვისტო. (საკდესი). ფრანს პრესის სააგენტოს კორესპონდენტი თეირანიდან იუწყება:

როგორც საქმეს ეარგად გაცნობილ წრეებში აცხადებენ, ირანის პრემიერ-მინისტრმა მანუჩეჰრ ეგბალმა გუშინ შაჰ მუჰამედ რეზა ფეხლევის გადასცა განცხადება გადადგომის შესახებ. გადადგომა არ არის მიღებული.

რევანშისტული გაბრუება...

ბონი, 29 აგვისტო. (საკდესი). დასავლეთ გერმანიის რევანშისტული წრეების აგრესიული გეგმები გუშინ აშკარად წამოაყრანტალა ბუნდესტაგის დეპუტატმა ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირისაგან გერმან ერენმა თავის სიტყვაში დიუსელდორფის რევანშისტულ მორიგ ყრილობაზე — ზემო სილეზიის ყოფილ მცხოვრებთა შეხვედრაზე. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მმართველი პარტიის ამ წარმომადგენელმა, ცინიკურად აღიარა, რომ დასავლეთ გერმანიის რევანშისტული წრეები მზად არიან მიმართონ ომს როგორც თვითონი დამპყრობლური მიზნების მიღწევის საშუალებას. „თუ საჭირო იქნა, — განაცხადა ერენმა, — ჩვენ ვიბრძოლებთ“. როგორც ჩანს, იმისათვის, რომ გაეფანტა ყოველგვარი ეჭვი ამ სიტყვების ნამდვილ აზრში, მან დასძინა, რომ აღმოსავლეთ სილეზიის მცხოვრებნი მუდამ იყვნენ გერმანიის საუკეთესო ჯარისკაცები.

დასავლეთ გერმანიის დღეგანდელი პრესა აღნიშნავს, რომ ერენმა თავისი გულახდილობით „შეცბუნება“ გამოიწვია და „აბნეულობა“ შეიტანა დიუსელდორფის შეკრების ორგანიზატორთა შორის. მის გამოსვლას მკვეთრად აკრიტიკებს გაზეთი „ნოიე რაინ-ციტუნგი“, რომელიც ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ერენმა თავისი სიტყვით „დიმისახურა ალიკაპი“, „ეს ნამდვილად რევანშისტის ენაა“, — შენიშნავს გაზეთი.

ჯაშუშური ფრენა გრძელდება

ლონდონი, 29 აგვისტო. (საკდესი). როგორც „დეილი ექსპრესის“ მეცნიერული მიმოხილველი ჩემმან პინჩერი იუწყება, ინგლისის ბაზებიდან განახლდა სადაზვერვო ფრენა, რომლის მიზანია ჯაშუშური ცნობების შეგროვება სოციალისტური ბანაკის ქვეყნების შესახებ.

„ფრენას ახორციელებენ ამერიკის სამხედრო-საჰაერო ძალები „რბ-47“ თვითმფრინავების გამოყენებით და ინგლისის ავიაცია, რომელიც იყენებს „კანბერას“ თვითმფრინავებს უფრო მძლავრი ძრავებით, — წერს პინჩერი. — როგორც ერთი, ისე მეორე თვითმფრინავები აღჭურვილია ელექტრონული და ფოტოგრაფიული მოწყობილობით“.

სსრ კავშირის ჩემპიონ როდნინაკისა (მარჯვნივ) და გერმანელი მოკრივე გუზეს შეხვედრის ერთ-ერთი მომენტი.

სამეცნიერო ექსპედიცია სვანეთში

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ონკოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სამეცნიერო ექსპედიციამ, რომელსაც ხელმძღვანელობს ინსტიტუტის დირექტორი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი პროფესორი ა. ღვამიჩავა, მთიან რაიონებში ავთვისებიან სიმსივნეთა გავრცელების შესასწავლად აგვისტოში დაიწყო მუშაობა ლენტეხის რაიონში.

ექსპედიციის ბრიგადებმა სოფლებში ბავარში, ხელედში, წანაში, ნანარში, რცხმელურში, ყველრეში, ჩოლურში, სასაში, კახუნდერში, ჯიხარეშსა და ყარულდაში ჩაატარეს მოსახლეობის მასობრივ-პროფილაქტიკური გასინჯვება, ლაბორატორიული-საუბრები, გაუწიეს კონსულტაციები და საექიმო დახმარება. გააკეთეს სასწრაფო ქირურგიული ოპერაციები.

ექსპედიციის მუშაობას ქმედითი დახმარება გაუწიეს ადგილობრივმა პარტიულმა და საბჭოთა ორგანოებმა; ექსპედიციაში მონაწილეობა მიიღეს რაიონის მედიცინის მუშაკებმა მთავარი ექიმის ა. ჩართოლანის ხელმძღვანელობით.

სპორტის ამბები

ქუთაისის „ტორპედო“ ქაგულში

ქაგული, 29 აგვისტო. (საკდესი). დღეს პრემიერ-მინისტრის პირველმა მოადგილემ ალი მოჰამედმა მიიღო საბჭოთა კავშირის სპორტული დელეგაცია — ქუთაისის „ტორპედოს“ ფეხბურთელთა გუნდი, რომელიც ავღანეთში ჩამოვიდა დამოუკიდებლობის დღის ზეიმში მონაწილეობის მისაღებად. ჩვენს ფეხბურთელებთან საუბარში ალი მოჰამედმა ქადაგოფლება გამოთქვა ქართველ ფეხბურთელთა თამაშის გამო, და განაცხადა, რომ მიუხედავად დამარცხებებისა, ავღანელ ფეხბურთელებს საგრძნობლად მოუტანა საბჭოთა სპორტსმენებთან შეხვედრამ, რომლებმაც მათ უჩვენეს მშვენიერი ტექნიკური თამაში. ალი მოჰამედმა შემდეგ იმედი გამოთქვა, რომ საბჭოთა ფეხბურთელები კვლავ ჩაფლენ ავღანეთში, ამასთანავე ავღანელი სპორტსმენები იმედოვნებენ საპასუხო ვიზიტით ჩავიდნენ სსრ კავშირში. სპორტსმენთა დელეგაციების გაცვლა, განაცხადა მან, აახლოებს ორივე ქვეყნის ახალგაზრდობას.

ი. რიაზანოვა გამარჯვებულთა რიგებში

მოსკოვის საერთაშორისო ტურნირი ჩოგბურთში დიდი ტრადიციული შეჯიბრება იყო. გარდა საბჭოთა სპორტსმენებისა შეხვედრებში მონაწილეობა მიიღეს სხვადასხვა ქვეყნის საუკეთესო ჩოგბურთელებმა.

ქალთა შორის ფინალურ შეჯიბრებაში დმიტრიევამ (სსრ კავშირი) წარმატებით ჩაატარა ბრძოლა. მან დამარცხა ჩეხოსლოვაკიის წარმომადგენელი ი. ელგროვი და პირველი ადგილი დაიკავა. ვაჟთა შორის გამარჯვებული გამოვიდა უნგრელი ჩოგბურთელი გეი